გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(290) 2023 წ. 16-30 ივნისი ფასი 1 ლარი

პარტია „ქართული ოცნების“ კონფერენცია საგარეჯოში

24 ივნისს, პარტია „ქართული ოცნების“ კონფერენციაზე საგარეჯოს ორგანიზაციის თავმჯდომარედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** და ბიუროს წევრებად: **ელდარ მეშარიძე, ცინარი კონიაშვილი, ვასილ დუჩიძე, გიორგი თათრიშვილი, ლელა მარიდაშვილი, ლელა ფანოზიშვილი, ლექსო იოსელიანი, ივანე ბეჭიაშვილი, ლევან როსტიაშვილი** აირჩიეს.

ავთანდილ გულიკაშვილი –

საგარეჯოს „ქართული ოცნების“ ორგანიზაციის თავმჯდომარე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი:

მადლობა ნდობისთვის

მადლობა მინდა გადავუხადო პარტია „ქართულ ოცნებას“ გამოხატული ნდობისთვის. რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას, ჩემს კოლეგებს - გამხნევებისთვის, ჩემს საგარეჯოელებს - მხარდაჭერისთვის, ამხელა სითბოსთვის, ემოციისთვის.

თითოეული თქვენგანისგან ვგრძნობ თანადგომას, სიყვარულს და ეს ყველაფერი მაძლევს სტიმულს, რომ უფრო მეტი საქმე ვაკეთო ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებს - ჩვენი ქვეყნის მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა. მიგულეთ თქვენს გვერდით, როგორც დიდი გულშემატკივარი.

ყოჩაღ, ბიჭებო!

თქვენ საგარეჯოს სიამაყე ხართ!

2023 წლის მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატზე საგარეჯოს 5 დირსეული გამარჯვებული ჰყავს!

ვულოცავთ თითოეულ მათგანს ამ წარმატებას!

15 წლამდე:

70კგ+

ბაჩო დიღმელაშვილი მარჯვენა, მარცხენა

23წლამდე:

90კგ

ოთო საგინაშვილი

მარცხენა, მარჯვენა

18წლამდე:

90კგ+

ვალერი კერატიშვილი. მარჯვენა, მარცხენა

დიდები

100კგ

ნუგზარ ჭიკაძე მარჯვენა

110კგ+

გიორგი როსტომაშვილი მარჯვენა

განცხადება

შპს “კურორტი უჯარმას” ესაჭიროება მასაჟისტი. ტელ: 599565212, 593010266

ინფრასტრუქტურა-2023

თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალური გზის მშენებლობა შეუნელებელი ტემპით გრძელდება

თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა 3 მონაკვეთზე პარალელურად მიმდინარეობს

პროექტის მიხედვით, შენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის საფარიანი, გარე განათების სისტემით აღჭურვილი, ჩქაროსნული საავტომობილო გზა. მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 527 169 937 ლარია

35 კმ-იანი ახალი მაგისტრალური გზა იწყება ლოჭინის კვანძის აღმოსავლეთით და დასრულდება თოხლიაურის კვანძთან

თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი, თბილისის კახეთთან დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალის და აზერბაიჯანის ჩრდილო–დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის ნაწილია. ამჟამად მოქმედი გზა ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში გადის, როგორებიცაა: ვაზიანი, სართიჭალა, ნინოწმინდა და საგარეჯო.

ახალი ჩქაროსნული გზის მშენებლობა მოიცავს ვაზიანის შემოვლითი გზის, ვაზიანი-საგარეჯოს დამაკავშირებელი და საგარეჯოს შემოვლითი გზის მშენებლობას

კახეთისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია გაზრდილი სატრანსპორტო მიმოსვლის პირობებში

ფესრიგდება გზები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადმინისტრაციულ ერთეულებში სავარგულებთან მისასვლელი გზების მოსწორების სამუშაოები მიმდინარეობს.



უხვი ნალექების შედეგად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მოსული ჭარბი ნალექისა და სეტყვის შედეგად, რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ დიდ და პატარა ჩაილურში, შიბლიანში, ვერხვიანში, კაკაბეთში, მზისგულში, ყანდაურასა და ბადიაურში დაისეტყვა საკარმიდამო ნაკვეთების, სავარგულებისა და ვენახების ნაწილი. დაზიანდა შიდა საუბნო გზები და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის დავალებით, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ინფრასტრუქტურული ზარალის აღრიცხვა.

საუკუნის პრობლემა მოგვარდება

მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სოფელ იორმუღანლოში მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 064 995 ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფელ იორმუღანლოს, თულარის, ლამბალოს და დუზაგრამის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

AZ

Əhalinin içməli su ilə fasiləsiz təmin edilməsi məqsədilə Yormuğanlo kəndində magistral kəmərlərin quraşdırılması işlərinə başlanılıb.

Layihə yerli büdcədən maliyyələşdirilir və onun dəyəri 1 064 995 lari təşkil edir.

İşlər başa çatdıqdan sonra Yormuğanlo, Tulari, Ləmbalo və Duzaqram kəndlərinin sakinləri fasiləsiz su təchizatından yararlanacaqlar.

საგარეჯოს საცურაო აუზი ფუნქციონირებას განაგრძობს

21 ივნისიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. №105-ე სპორტული სკოლის დახურული ტიპის განახლებული (სასწავლო) საცურაო აუზი ჯანდაცვის რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით განაგრძობს ფუნქციონირებას. 13:00 საათიდან 17:00 საათამდე.

რაც შეეხება ღია აუზს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთანავე 1 ივლისიდან, განაახლებს მუშაობას.

მისამართი: ქ. საგარეჯო, კოსტავას№4

ტელ: 599851166

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქართველი მას-რესლერების ტრიუმფი

ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მას-რესლინგში საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს,4 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გიორგი ქვლივიძე (90 კგ) და გიორგი ტალახაძე (+125 კგ) ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ქვლივიძემ თავის წონით კატეგორიაში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ აბსოლუტურ კატეგორიაშიც იასპარეზა და ქართულ ფინალში თავისზე ბევრად მძიმეგიორგი ტალახაძესთან დათმო ფინალური შეხვედრა, ბორჯომელმა გიგანტმა კი 2 ოქროს მედალი და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ასევე, სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ვეტერანთა შორის შეჯიბში, საგარეჯოელმა ქართველმა ძიუდოსტმა - **დევიკო გობეჯიშვილი** (-100კგ, 3) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

.ოქრო - გიორგი მოდებაძე (-100კგ, 3), ალექსი დავითაშვილი (+100კგ, 4);

ვერცხლი - ბადრი ბასოშვილი (-60კგ, 4);

ბრინჯაო - დავით უძილაური (-81კგ, 3), დევიკო გობეჯიშვილი (-100კგ, 3), ირაკლი ახრახაძე (+100კგ, 3).

”ბოჩა” საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული საჭიროების მქონე, ეტლითმოსარგებლე ბენეფიციარებისთვის პარა სპორტის ერთ-ერთი სახეობა -”ბოჩა” დაინერგა. გუნდის წევრებს ვარჯიშისთვის სპეციალური აღჭურვილობა და ბრენდირებული მაისურები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა გადასცეს.

შეხვედრას მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელი და ქ. საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის დირექტორი ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 3 დეკემბერს, აღნიშნული ინიციატივის შესახებ ავთანდილ გულიკაშვილმა ბენეფიციარებს ინფორმაცია მიაწოდა და მისივე მითითებით, სავარჯიშო გაკვეთილებისთვის საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი გამოიყო.

ახალგაზრდებში ფიზიკური აქტივობისა და ჯანსაღი ჩვევების დანერგვის მიზნით

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით 23 ივნისს, ოლიმპიზმის დღისადმი ახალ კამპანიის სახელწოდებით - “მოდით ავმოძრავდეთ” ფარგლებში, ქ. საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე სპორტული აქტივობები გაიმართა.

„დებატები უკეთესი განათლებისთვის“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ა(ა)იპ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებული პროექტის “დებატები უკეთესი განათლებისთვის” ფარგლებში, ქ. საგარეჯოს №4 საჯარო სკოლაში მორიგი ღონისძიება გაიმართა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს საქართველოს პატრნიორი დებატების ორგანიზაციის წარმომადგენლები სტუმრობდნენ ლატვიიდან: ვიტა კერპე - ლატვიური დებატების ორგანიზაციის წარმომადგენელი • ქეითა ბირზინა - მოდებატე • კარინა ბეთა - მოდებატე. ასევე მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც უკვე მრავალი წელია ჩართული არიან პროექტის აქტივობებში. აღსანიშნავია, საგარეჯოელი ახალგაზრდების მიღწევებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კერძოდ კი 2022-23 სასწავლო წლის რეგიონული ტურნირის ნახევარფინალის გამარჯვებული სწორედ საგარეჯოს ერთ-ერთი დებატკლუბის გუნდი გახდა. გარდა ამისა, სიხარულით გვსურს გაცნობოთ, რომ საქართველოს ერთ-ერთი წარმომადგენელი 2023 წლის დებატების საერთაშორისო ახალგაზრდულ ფორუმზე სწორედ საგარეჯოს 2 საჯარო სკოლის მოსწავლე - ლიზი მასურაშვილია. ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლები წარმატებულად იყვნენ ჩართულები “საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის” სხვა პროექტებსა და პროგრამებშიც, როგორიცაა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტი.

ფერწერის კონკურსი

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების გამოვლენისა და წახალისების მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, გოგლაობის დღესასწაულთან დაკავშირებული ფერწერის კონკურსი - ***“გააცოცხლე ნატვრის ხის“*** პერსონაჟები” - დასრულდა. გამარჯვებული ავტორები და ნომინანტები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომელთაც ფასიანი საჩუქრები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა გადასცეს.



ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

წყაროსთავი

კომლი – 300
კაცი – 1200
მიწის ფართობი:
სულ – 2438ჰა
აქედან:
კერძო – 827ჰა
სახელმწიფო – 1611ჰა
სახნავი სულ – 938ჰა
აქედან:
კერძო – 698ჰა
სახელმწიფო – 240ჰა
მრავალწლიანი ნარგავები სულ – 65ჰა
კერძო – 65ჰა
სათიბი – 71ჰა
აქედან:
სახელმწიფო – 71ჰა
საძოვარი სულ1338ჰა
აქედან:
კერძო – 38ჰა
სახელმწიფო – 1300 ჰა
საკარმიდამო
სულ 26ჰა
აქედან
სახნავი – 15 ჰა
მრავალწლიანი – 11 ჰა

სოფელში გავრცელებული გვარებია: კერატიშვილი, ბეჟიტაშვილი, გაგნიაშვილი, დათუნაშვილი, ჩერქეზიშვილი.

სოფელში ფუნქციონირებს XVII საუკუნის ღვთისმშობელ მარიამის მშობლების წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ეკლესია

* * *

გიორგი კერატიშვილი

დაიბადა 1977 წელს

განათლება – დავით გარეჯელის სახელობის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი – 1993-1997წწ. სპეციალობა – წარმოების ეკონომიკა და მართვა, ეკონომიკის ბაკალავრი.

სამუშაო გამოცდილება: დაცვის პოლიციის სამსახური, დაცვის პოლიციელი 2002-2012წწ; გამგებლის წარმომადგენელი სოფელ წყაროსთავში 2013 წლიდან დღემდე.

წარმომადგენლის თანაშემწე

ინფრასტრუქტურა

2021 წელი

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:

სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა – 157 198 ლარი

მინი სტადიონის რეაბილიტაცია – 31860 ლარი.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:

სოფელ ნინოწმინდისა და სოფელ წყაროსთავის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 549.964 ლარი.

პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ დაფინანსებით:

სოფელში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს მოწყობა – ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით (16000+4000ლარი).

2022 წელი

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:

სოფელში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაფართოება (ორი ოთახის მიშენება) – 120 289 ლარი.

სკვერის მოწყობა

ე.წ. ბეჟიტაანთ უბანში სკვერის მოწყობა.

2023 წელი

მნიშვნელოვანი პრობლემის – მოსახლეობის სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგების მიზნით სოფელში დაწყებულია, ძირითადი სამუშაოები, თითქმის ბოლომდეა მიყვანილი სასმელი წყლის ძირითადი მილების ჩაწყობა და სულ მალე გაგრძელდება სასმელი წყლის შიდა ქსელებით ორივე უბნის დაქსელვა, გამრიცხველიანება, რაც 300 კომლს საუკუნის პრობლემას მოუხსნის. აღნიშნული სამუშაოები 2024 წლის მარტში დამთავრდება და სისტემა მთელი დატვირთვით დაიწყებს მუშაობას, 500 ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარი სოფლის მთლიან მოსახლეობას მიაწვდის სასმელ წყალს.

მიმდინარე წელსაა გათვალისწინებული სოფელში არსებული ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი და მის ადგილზე სკვერის მოწყობა,რომლითაც აქტიურად ისარგებლებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები, საჯარო სკოლის მოსწავლეები და სოფლის ახალგაზრდობა.

გზები

სოფელში არსებულ ორ ძირითად უბანში ასფალტის საფარითაა დაფარული გზები. მთავარი ქუჩა, რომელსაც გამგეობის ქუჩასაც უწოდებენ 1700 მეტრია და მთლადაა დაგებული ასფალტი, სოფელში მხოლოდ 1 კმ-მდე სიგრძის მონაკვეთიდაა ასფალტით დასაფარი და ისიც მალე მოწესრიგდება.

განათება

სოფელში არსებული ქუჩები მთლიანად გარეგანათების სანათებითაა მოწესრიგებული, ასევე, სოფელში არსებული ორივე მინი სტადიონიც. დარჩენილია მხოლოდ ხევის პირას დარჩენილი პატარა უბანი, სადაც ოთხი სანათის დაყენებაა საჭირო.

სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცავად, სოფლის უბნებში და არსებულ ქუჩებში 40 ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენების ყუთია განთავსებული.

პრობლემები:

– სარწყავი წყლით ვერ სარგებლობს სოფელი, რადგან აქ არასოდეს ყოფილა სისტემა, რაც შეეხება სავარგულებში სარწყავი სისტემის გამოყენებას, ამ მხრივ პრობლემა არ არის.

– სოფელში არ არის სანიაღვრე სისტემა, რაც ზამთარში უხვი ნალექისა და ძლიერი წვიმების დროს ადგილობრივ მოსახლეობას უქმნის პრობლემებს

– არ არის კანალიზაციის ქსელი.

წყაროსთავის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობა ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახშია განთავსებული.

სოფელს არ აქვს საექიმო ამბულატორიის შენობა.

საჯარო სკოლა



სოფელში არსებული საჯარო სკოლის შენობა (მენეჯერი **მაია ნადირაძე**) 8756.4მ² ფართობზეა განფენილი, სადაც 9 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლაში სწავლება ორცვლიანია და ქალაქთან სიახლოვის გამო სოფლის მოსახლეობის ნაწილი შვილების მიყვანას ქალაქ საგარეჯოს საჯარო სკოლებში არჩევს. ამიტომაც აქ 2022-2023 სასწავლო წელს 50 მოსწავლე იყო. მათ სწავლა-განათლებას კი 20 პედაგოგი ემსახურებოდა, ამასთან, კონტიგენტის არყოლის გამო, 2022-2023 სასწავლო წელს აქ პირველი კლასი არ გახსნილა. ახალი სასწავლო წლიდან კი სკოლის კარს 5 პირველკლასელი შეხსნის. საჯარო სკოლის სრული კურსი ექვსმა ახალგაზრდამ დაამთავრა. გასული სასწავლო წლის სწავლის საუკეთესო მაჩვენებლებით მეათეკლასელები: შალვა ბეჟიტაშვილი, გიგი გელოვანი, მარიამ გაგნიაშვილი, ელენე ხუგაშვილი „ლეპტოპებით“ დაჯილდოვდნენ, ასევე, კარგი სწავლის ჯილდოები წელს გადაეცათ 2021-2022 სასწავლო წლის მიღწეული წარმატებული სწავლისათვის მეთერთმეტეკლასელებს ნინი ბეჟიტაშვილს და ანი ხითარიშვილს.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან გაერთიანებული ქალაქ საგარეჯოში არსებულ სპორტულ და ქორეოგრაფიულ წრეებში, ასევე, საამაყოა, რომ წყაროსთაველი მოსწავლეები ეუფლებიან კალათბურთს, ჭიდაობას, ფეხბურთს, სკოლაში სპორტის მასწავლებელი **ოთარ დევდარიანი** მათი საუკეთესო გზამკვლევია სპორტის სხვადასხვა სახეობებში გასაერთიანებლად.

2019 წელს სკოლამ სიყვარულით და სითბოთი, მასწავლებლის ჯილდოთი გააცილა სოფლის ახალგაზრდების და საერთოდ, აქაური მოსახლეობისთვის პატივსაცემი პედაგოგები: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ცინარი საბინაშვილი,** დაწყებითი საფეხურის სწავლების – **ინგა დიდმელაშვილი,** სპორტის – **ნინელი მუჩიაშვილი.**

სკოლის შენობა მართალია პატარაა, მაგრამ აქ თითოეული მონაკვეთი სიყვარულით და მოწიწებითაა მოვლილ-ნაპატრონები, პედაგოგიური კოლექტივი, სკოლის დირექცია, თავისი ძალებით ცდილობს აქაურობის მოვლა-მოფრთხილებას. 2015 წლიდან სკოლაში ცენტრალური გათბობაა. 2020 წლიდან აქ სველი წერტილებიც მოამატეს შენობას.

2019 წელს სკოლის წინ ***„სოფლის მხარდაჭერის“*** პროგრამით გაკეთდა მინი სპორტული მოედანი, რომელიც სკოლის მოსწავლეების საუკეთესო თავშეყრისა და სპორტული თამაშების ადგილი გახდა. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, არც ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები.

სკოლის მენეჯერი მაია ნადირაძე – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენა-ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტდამთავრებულია, აქ 1997 წელს პედაგოგად მოვიდა, 2012 წლიდან კი საჯარო სკოლის დირექტორია.

სამედიცინო მომსახურება

წყაროსთავის სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას ნინოწმინდის საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმები **ზაირა აბულაშვილი და ნანა შაშვიაშვილი** ემსახურება. წყაროსთაველებს დღემდე არ აქვთ საექიმო ამბულატორია, საჭიროების შემთხვევაში ნინოწმინდის საექიმო ამბულატორიას აკითხავენ.

სოფლის გამორჩეული ადამიანები:

ლაზარე დათუნაშვილი – *ფეხბურთელი, შპს „საგარეჯოს საფეხბურთო გუნდ გარეჯის დირექტორი;*

დარეჯან კერატიშვილი, – *პოეტი, წყაროსთავის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.*

ნიკოლოზ (ნუკრი) გაგნიაშვილი – მოჭიდავე, საგარეჯოს სპორტგაერთიანების ძიუდოს სექციის მწვრთნელი.

ოთო დევდარიანი

დასასრული მე-8 გვერდზე

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

ნინოწმინდა

კომლი – 725
კაცი – 2620
მიწის ფართობი:
სულ – 2520ჰა
აქედან:
კერძო – 1517ჰა
სახელმწიფო – 1003ჰა
სახნავი სულ – 1156ჰა
აქედან:
კერძო – 993ჰა
სახელმწიფო – 163ჰა
მრავალწლიანი ნარგავები სულ – 118ჰა
კერძო – 118ჰა
სათიბი – 140ჰა
აქედან:
სახელმწიფო – 140ჰა
საძოვარი სულ 104ჰა
აქედან:
კერძო – 346ჰა
სახელმწიფო – 700 ჰა
საკარმიდამო
სულ 60ჰა
აქედან
სახნავი – 39 ჰა
მრავალწლიანი – 21 ჰა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ნინოწმიდაში
თამარ ბარსეგანიძე

დაიბადა 1969 წელს სოფელ წყაროსთავში.

განათლება: 1986 წელს დაამთავრა თბილისის 90-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2010 წლებში მუშაობდა შპს „ლაზი“-ში კონტროლიორად.

2010-2011 წლებში შპს „ცივში“ მუშად.

2012-2014 წლებში იყო ნინოწმინდის რწმუნებულის თანაშემწე.

2014 წლის აგვისტოდან დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ ნინოწმინდაში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

წარმომადგენლის თანაშემწე
გოგიტა როსტომაშვილი

ინფრასტრუქტურა
2021 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:

სოფლების – ნინოწმინდისა და წყაროსთავის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 549963 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება:

სოფელში მინი სტადიონის მოწყობა – 74882 ლარი;

სპორტული დარბაზის მშენებლობა – 297000 ლარი;

მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტროგაყვანილობა, გარე განათება და სკვერის შემოღობვა – 6106 ლარი.

ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის გამოტანა – 13634 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის მიერ დაფინანსებით:

სოფელში ტრენაჟორების მოწყობა – 24147 ლარი.

2022 წელი

საქართველოს რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით:

სასაფლაოსთან მდებარე გზის მოასფალტება – 151460 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული:

სოფელში არსებული მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქციის სამუშაოები – 46153 ლარი;

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანსებული.

სოფელში არსებული სასაფლაოს შემოღობვა – 20000 ლარი.

2023 წელი

სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგებისთვის აქ მიმდინარეობს ძირითადი მილების ჩაწყობის სამუშაოები, რომელთა დამთავრების შემდეგ დაიწყება შიდა დაქსელვითი სამუშაოები.

ნინოწმინდის საჯარო სკოლა

ნინოწმინდის საჯარო სკოლაში (მენეჯერი **ლია შენგელიძე**) გასულ, 2022-2023

სასწავლო წელს 223 მოსწავლე 13 საფინანსო კლასში ეუფლებოდა სწავლა-განათლებას. მათგან პირველ კლასში 17 მოსწავლე პედაგოგ მანანა როსტომაშვილთან ერთად

ეჩვეოდა სასკოლო რეჟიმსა და დაწყებითი საფეხურის განათლებას. 13-მა მეთორმეტეკლასელმა ცხოვრების საგზური მოიპოვა, მათგან ელენე თამაზაშვილმა წარჩინებული სწავლის ჯილდოდ ოქროს სინჯის მედალი მიიღო, ხოლო – მარიამ ამირანაშვილმა – ვერცხლის სინჯის.

ახალ სასწავლო წელს სკოლის პირველი კლასის კარებს 12 პირველკლასელი შეხსნის და პედაგოგ დალი ბუჩაშვილთან ერთად შეუდგება საინტერესო საქმიანობას.

სკოლაში 23 პედაგოგიდან 1 მენტორია, – 7 წამყვანი პედაგოგი, 14 კი – უმცროსი.

სკოლის მენეჯერი **ლია შენგელიძე** 2014 წლიდან საჯარო სკოლის დირექტორია, პირადად ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მანამდე, 1987-2014 წლებში კი ყანდაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო.

სკოლის შენობა მეტად საინტერესო პროექტითაა აშენებული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე და შემდეგაც სკოლა თანამედროვე განათლების თითქმის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ნათელი, დიდი სააქტო დარბაზი, ასეთივე სპორტული დარბაზი. საგარეჯოს IV საჯარო სკოლასთან ერთად რესპუბლიკაში საჩვენებელი საშუალო სკოლა იყო, მაგრამ... გავიდა დრო და სააქტო დარბაზმა და სპორტულმა დარბაზმა სერიოზული რეაბილიტაცია მოითხოვა. სპორტულ დარბაზში გასულ წელს ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ბოლომდე არაა მიყვანილი, წვიმისა და თოვლის წყლებისაგან გარედანაც ზიანდება საყრდენი კედელი და გარკვეულწილად ინესტება შიგნით დარბაზი. სარემონტოა, ასევე მთელი შენობა და იმედია მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მიმდინარე სასკოლო სარეაბილიტაციო სამუშაოებს ნინოწმინდის საჯარო სკოლის შენობაშიც ვიხილავთ. სკოლაში ბოლო ხანს, 5 წლის წინ გაკეთდა ცენტრალური გათბობის სისტემა, შენობაში იქნა შეტანილი სველი წერტილები.

საჯარო სკოლის შენობის ერთ ოთახშია განთავსებული ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები, რომელთანაც არსებული ორი სათავსო უკვე მოძველებულია.

საჯარო სკოლის შენობა, მართალია, სერიოზული სარემონტო-სარეაბილიტაციოა, მაგრამ მისი დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, ყველანაირად ცდილობს თითოეულ მოსწავლეს ცხოვრების გზაზე უსაგზლოს ყველა ის ადამიანური ღირსებები და ფასეულობები, რაც საქართველოს მომავლის მშენებელს მოეთხოვება. დიახ, აქ, ამ კედლებში აღზრდილები საკმაოდ წარმატებული მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, ბიზნესმენები, ფერმერები და რაც მთავარია, თავიანთი სოფლის, თავიანთი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტები არიან.

სამედიცინო მომსახურება

ნინოწმინდის მოსახლეობას ნინოწმინდის საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმები **ზაირა აბულაშვილი და ნანა შაშვიაშვილი** ემსახურება.

ოჯახის ექიმი ზაირა აბულაშვილი

სპორტი

ნინოწმინდელი ახალგაზრდები აქტიურად ეუფლებიან სპორტის ისეთ სახეობას, როგორიცაა კრივი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ორგზის პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გიორგი დეკანოზიშვილი დღეს დიდი გამოწვევებისათვის ემზადება მსოფლიო კრივის ფურცლებზე მოსახვედრად

სოფლის სახელი არ შეურცხვენია სპორტულ არენაზე მოასპარეზე მკლავჭიდელ გიორგი როსტომაშვილს, რომელმაც თავის თანაგუნდელ ბიჭებთან ერთად მოლდოვაში ივნისში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

ნინოწმინდის ქალთა საინიციატივო ჯგუფი

ჯგუფის ხელმძღვანელის ელენე სამხთუაშვილის თაოსნობით არაერთი პრობლემა მოგვარდა. ჯგუფი შეხვედრებს აწყობს ნინოწმინდის გამოჩენილ ადამიანებთან. თავიანთი ინიციატივითვე, გახსნილ ბიბლიოთეკაში ***სურათზე:*** შეხვედრა პოეტ **შალვა ოკინაშვილთან.**

დასასრული მე-8 გვერდზე

სკოლისგარეშე მუშაობა

აქ იწრთობიან, ყალიბდებიან საზოგადოების ღირსეული წევრობისათვის

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრ5დობის სახლი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ის ნავსაყუდელია, სადაც არასოდეს წყდება საინტერესო ამბების, ღონისძიებების, შეხვედრების მაჯისცემა. აქ ათეული წლებია ის ადამიანები ხვდებიან თითოეულ მიმსვლელს, რომელთაც აქაური სახლი საკუთარ სახლად, აქაურობა ოჯახად აქვს მიღებული. ამიტომაცაა ყოველთვის ხალხმრავლობა... დარბაზი ზოგჯერ სულგანაბულია, ზოგჯერ აბობოქრებული, ხან ცეკვის, ხან სიმღერის, ომახიანი შეძახილების მომსწრე. დიახ, აქ ეცნობიან სამყაროს, ერთმანეთს, ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობებს, ჩვენი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კულტურას, ისტორიას... მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, კონკურსებში, კონფერენციებში, ვიქტორინებში, აწყობენ თამაშობებს.

საინტერესოა, ვინ ქმნიდა გასულ წელს აქ ამ ატმოსფეროს, რომელიც ასერიგად იზიდავს აქ ყველა ასაკის მოზარდებს, სოფლის მოსწავლეებს, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს?

სწორედ ამ კითხვაზე გვპასუხობს აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ ***დირექტორი* სალომე ჯაბადარი.**

– მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 7 წრე, ***ინტელექტკლუბი***, რომელსაც ***ხელმძღვანელობს* ბადრი დრეიძე**, ***მხატვრული კითხვის კლუბი*** (ხელმძღვანელი **ოლღა მეხაშიშვილი**), ***ხატვის კლუბი*** – (ხელმძღვანელი **ნინო ჯანგულაშვილი**), ***ინგლისურიო ენის კლუბი*** (ხელმძღვანელი **თამუნა მათიაშვილი**), ***პროგრამებისა და პროექტების წრე*** (ხელმძღვანელი **ირინა დრეიძე**), ***მათემატიკის კლუბი*** (ხელმძღვანელი **თამარ ძურხული**).

წრეებზე სტანდარტულად 25 ბავშვია, ხატვაზე, მხატვრულ კითხვასა და ინგლისურზე – 30 ბავშვი, მათემატიკის წრეზე – 15, ინტელექტთამაშებზე 60-65 ბავშვი, პროექტებსა და ლიდერთა კლუბში – 35 ბავშვი.

– გასული წლის ღონისძიებებიდან რომელს გამოარჩევდით?

– რაც შეეხება ღონისძიებებს – 2022 წლის ზაფხულის ბანაკებში გვყავდა 1327 ბავშვი, გაეროს მოდელირებაზე – 50 ბავშვი.

წლის განმავლობაში 110 სხვადასხვა ღონისძიება და შეხვედრა ჩატარდა. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტელექტთამაშები, ლიდერების ტრენინგკურსი „ნაბიჯი წარმატებისკენ“ სეზონური ღონისძიებები. ყველა ბავშვი აქტიურად არის ჩართული.

პირველი ივნისის ფესტივალი 2022 წელს საკმაოდ პომპეზური იყო, ასევე ბანაკებში და გაეროს მოდელირება. 2022 წლის ზაფხულის სესიაში მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლის, ასევე თბილისელი ბავშვებიც.

2022 წლის ზაფხულის ბანაკი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ დაგვიფინანსა და ოთხივე ბანაკში კვება უზრუნველყო. ***განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს კოლექტივს*** გვერდში დგომისათვის და გაწეული შრომისათვის, მადლობა ***ჩვენს მერს ბატონ* ავთანდილ გულიკაშვილს** მხარდაჭერისთვის.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

იქ, სადაც ბავშვობს მიშსარიათ

მალე ახალი შენობები შეეგებებათ პატარებს

უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებული, მართლაც უმნიშვნელოვანესი ძვრები მოხდა ჩვენი ქვეყნის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოსაწერიგებლად. ქვეყნის მთავრობამ ფართო მასშტაბის გეგმა წარმოადგინა, სადაც ყველა რეგიონში, ყველა მუნიციპალიტეტში არსებული ასეთი დაწესებულების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვაა მიზანდასახული. გარდა ამისა, მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში დაიგეგმა ახალი შენობების მშენებლობა. ერთი ასეთი შენობა უკვე კაკაბეთის საბავშვო ბაღის ახალი შენობაა, რომელიც ექსპლოატაციაში ახალი სასწავლო წლიდან შევა. გარდა ამისა, წელს საძირკველი კიდევ ერთი საბავშვო ბაღის შენობას ჩაეყარა. მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიწყება საგარეჯოს მე-6 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობაც.გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, რის შესახებაც გაერთიანების დირექტორი ქ-ნი **ელზა გილაშვილი** გვესაუბრება.

– ქ-ნო ელზა, რამდენი საბავშვო ბაღია მუნიციპალიტეტში, როგორც ცნობილი გახდა აზერბაიჯანელებით დასახლებულ მოსახლეობას ახალი საბავშვო ბაღის შენობა ექნება...

– მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან ერთი სოფელ დუზაგრამაშია. უკვე დაიწყო სოფელ იორმუდანლოში კომპანია „სოკარ-ჯორჯიასა“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტით ახალი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა. შენობა 160 ბავშვზეა გათვალისწინებული.

– რა სიახლეები იყო 2022 წელს საბავშვო ბაღებისათვის (რეაბილიტაცია, მშენებლობა, სათამაშოები, საჩუქრები)?

– სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა გიორგიწმინდის და პატარძეულის №1 საბავშვო ბაღებს, დაიწყო რეაბილიტაცია და მიმდინარე წელს დასრულდა დიდი ჩაილურის საბავშვო ბაღში. აშენდა ახალი საბავშვო ბაღი კაკაბეთის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა, შენობა გაიხსნება და ფუნქციონირებას დაიწყებს სექტემბერში.

რამდენიმე ბაღში მოეწყო კანალიზაციის სისტემები, შეკეთდა ელექტროგაყვანილობები, მოხდა გომბორის საბავშვო ბაღის გაზიფიცირება და მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემები, დამონტაჟდა ელექტროქურები, შევიძინეთ ავეჯი სოფელ გიორგიწმინდის საბავშვო ბაღისათვის და ა.შ.

სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესასრულებლად არსებული კვების ეკონომიიდან პანდემიისა და ვირუსის გავრცელების მიზეზით (ბავშვების სიმცირის გამო) გაიხარჯა 207547 ლარი.

– რამდენი აღსაზრდელი იყო სულ?

– 2022 წელს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დარეგისტრირებული იყო 1500 ბავშვი. მათ ემსახურებიან: 29 მენეჯერი.

63 აღმზრდელი, 63 აღმზრდელის თანაშემწე, 13 ფსიქოლოგი, 12 ლოგოპედი, 5 მეთოდისტი, 29 მზარეული, 8 მზარეულის თანაშემწე, 29 მედდა, 28 მუსიკის მასწავლებელი, (არ ჰყავს გომბორს) 37 დამლაგებელი, 30 დარაჯი.

ჭურჭლის მრეცხავებად და მეეზოვეებად დასაქმებული გვყავს 70 სოციალურად დაუცველი პიროვნება.

– საბავშვო ბაღის რამდენი აღსაზრდელი წავიდა ახალი სასწავლო წლისათვის I კლასში?

– წელს სკოლაში მიდის 478 აღსაზრდელი.

– რომელ საბავშვო ბაღს არ ჰყავს ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მუსიკის მასწავლებელი?

– მუნიციპალიტეტის 16 საბავშვო ბაღს არა ჰყავდა ფსიქოლოგი, ჩვენდა სასიხარულოდ 2023 წელს დაემატა მათი შტატი.

– ტრენინგი თუ ჩატარდა საბავშვო ბაღის აღმზრდელებისათვის რამე 2022 წელს?

– 2022 წელს ყველა საბავშვო ბაღში დაინერგა „ჰარპის“ (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა) პროგრამა.

გასულ წელს ყველა აღმზრდელი გადამზადდა აღმზრდელ-პედაგოგად.

– წარმატებებს გისურვებთ საქართველოს მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საქმეში.

თვალსაზრისი დღეს მოქმედი ანსამბლები

გაგრძელება (დასაწყისი იხ. №11)

„ჩინარი“ – ქალთა სახალხო ანსამბლი

გუშინდელივით მახსოვს ქალთა სახალხო ანსამბლის „ჩინარის“ დაბადება – 1984 წლის ივნისი. ერთმა კაფანდარა, სუსტი აგებულების, მაგრამ მებრძოლი, საქმეში ქარიშხლის დამტრიალებელმა გოგონამ, ქალთა ფოლკლორული ანსამბლის შექმნა გადაწყვიტა. ჩანაფიქრმა, ათასჯერ ღამეგამოტარებულმა ფიქრებმა გაიხმიანა და ამ ხმამ მაშინდელი საგარეჯოს პარტრაიკომის პირველ მდივნამდე მიაღწია. ყოველივე ქართულის, ძველი ტრადიციების დამფასებელმა, ამაღორძინებელმა კახეთსა და სრულიად საქართველოში ქართულის გულშემატკივარმა ქალბატონმა მედეამ დაიბარა საგარეჯოს სამუსიკო სკოლის პედაგოგი **ნელი გულიკაშვილი,** ნაფიქრალი მოუწონა და ხელის შეწყობასაც დაჰპირდა. ეს ის დრო იყო, როცა ახალგაზრდობა „ბრმად ბაძავდა“ დასავლურ ცხოვრებას და მართლაც საჭირო იყო, შეგვეხსენებინა, „ვისი გორისანი იყვნენ“. და,აი,ერთ გუნდად შეკრა ნელიმ გოგონები: ***ქუჩუნა კონიაშვილი, მანანა კუჭუაშვილი, ნაირა ალექსაშვილი, მარინა გილაშვილი, მაია კვერაშვილი ტატიანა პატარაშვილი, ირინა ძამუკაშვილი, ნანა აზარიაშვილი, ცისანა მოვსესიანი.*** სწორედ ამ გოგონებმა გამოაცოცხლეს დარბაზი და შეახსენეს სიმღერები: „ოროველა“,„დაიგვიანეს“,„სურვილი“, „ლომისური“,„ჯვარი წინასა“, „ჯავრიანი გული“, „როდემდის უნდა მაწამო“, „შაშვი“, „გულზე ცეცხლი მედება“, „პატარა კახი“, საგარეჯოელი პოეტების – ნოდარ დიღმელაშვილის ლექსის „შემოდგომის ბურუსის“, ვენერა მამისაშვილის ლექსის „ჩიტო-გვრიტო“ და...“, იავნანა“ და სხვა. გოგონები მღეროდნენ ფოლკლორულ სიმღერებს, ნელი გულიკაშვილის მუსიკაზე შექმნილ სიმღერებს და სწორედ ამან მოუტანა ნელის და ანსამბლს აღიარება, არაერთგზის მიენიჭა საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდება, ნელი გახდა ღირსების ორდენის კავალერი, მიენიჭა საგარეჯოს საპატიო მოქალაქის წოდება.

ანსამბლს ამ 39 წლის მანძილზე მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება (1999წ),გახდა მსოფლიოს ახალგაზრდობის მუსიკალური ფესტივალის „ვერცხლის სიმის“ დიპლომისა და „ვერცხლის ლირას“ მფლობელი (1991წ,პოლონეთი,ვარშავა). „ „ჩინარის“ „იავნანა“ მსოფლიოს საუკეთესო იავნანების ოცეულშია (პარიზში გამოსული ოქროს დისკი, 2004წ). ანსამბლმა ოცამდე სიმღერა ჩაწერა ფირმა „მელოდიაში“ (1998წ). ანსამბლის მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების ყოფილმა რედაქციამ (1988წ).

ანსამბლის წევრებს, მათ გულშემატკივრებს ახსოვთ წარმატებული გამოსვლები და აღფრთოვანებული მაყურებელი იემენში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფესტივალზე, პოლონეთში, მოსკოვში, იუგოსლავიაში, გერმანიაში, უკრაინაში, ესტონეთში

„ჩინარი“ დღესაც წარმატებით აგრძელებს თავის ტრადიციებს, გოგონები: **ნელიკო გულიკაშვილი, ნინო ტიბინაშვილი, თეონა გივიშვილი, ნატო ზალიკანიანი, თეა ქოქრაშვილი, მანანა კუმელაშვილი, სალომე ქოქიაური, შორენა ლებაშვილი, მაია ფანოზიშვილი, მარი გილაშვილი, მარინა ურდულაშვილი** საგარეჯოს სიამაყეები არიან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?“

ჩვენი გაზეთის პატარა მკითხველები სპორტული ოჯახებიდან

დიდ სარბიელს შეჭიდებული

ექვსის შესრულდა ყველაზე ლამაზ თვეს,მაისში. კურდღელაშვილების მრავალრიცხოვან ოჯახში ყველაზე „დიდია“. არა, ასაკით კი არა – პრივილეგიებით. რას ნიშნავს პრივილეგიებში ყოფნა? ახლავე აგიხსნით. აი, როცა მამა მამუკა კურდღელაშვილი , ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, გასულ წელს პორტუგალიაში ვეტერანი ძიუდოისტების მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელი. უფროსი ძმა – ნიკოლოზი – მე-11 კლასის მოსწავლე, 16 წლის მოჭიდავე. უფროსი და – ნინო – 14 წლის – მეცხრე კლასის მოსწავლე და მისი მომდევნო მე-5 კლასელი ნიკა, მოჭიდავე და ტანმოვარჯიშე, თვალებში რომ შემოგყურებს, შენს ოინბაზობაზე იცინის, უყვარხარ, უყვარხარ ძალიან, მაგრამ... ყველაზე მეტად კი დედას, ნანას უყვარხარ, რადგან პედაგოგის დიპლომი გამოკეტილი აქვს, ოთხივე შვილს ყურადღება, სიყვარული, სითბო, ხელის შეწყობა არ მოაკლდეს.

ეს პატარა გოგოცუნა **ქეთი კურდღელაშვილია,** ძალიან თბილი ,მორიდებული ჩემთან ინტერვიუზე, მაგრამ სახლში? – ჭერის თავზე დამმხობი. აბა რა გგონიათ, ასეთი მოძრავი რომ არ იყოს, როგორ აიღებდა თბილისში მხატვრული ტანვარჯიშის მიმდევარ გოგონათა შორის რესპუბლიკურ I ადგილს?

დიახ, მამუკას სპორტულ მედლებს პირველმა მიუმატა ოქროს მედალი და კურდღელაშვილების გვარის ისტორიაშიც 6 წლის ასაკიდან გახდა გვარის სახელოვნად გამჟღერებელი.

როგორი გოგოა?

თბილი, სახე და თვალები უღიმის, კითხვებზე პასუხს დედას ჩასჩურჩულებს ყურში. რატომღაც შემკრთალია. ვიღაცაში, კონკრეტულ პიროვნებაში ვეშლები, ან მერამდენედ მეკითხება – ნემსი გააქვთ? უარყოფით პასუხზე მაინც არ მენდობა. მეც ჯიუტად განვაგრძობ კითხვებს. ბოლოს რწმუნდება, მეც როგორ მძულს ნემსი და თეთრი ხალათი. ეშმაკურად აციმციმებული თვალებით ტანვარჯიშის ილეთებს ისე აკეთებს, გაოცებული ვრჩები. როგორც ჩანს – თავის გაცნობის მომენტი დადგა.

დიდხანს ვისაუბრეთ, საბავშვო ბაღზე – სადაც თანატოლებთან ერთად გამოსაშვები ზეიმისათვის თინიკო მასწავლებელი ამზადებს, მერე არდადეგები ექნება, შემდეგ საგარეჯოს III საჯარო სკოლაში მივა. პირველი მასწავლებელი ნინო ჯაფოშვილი პირველკლასელობას მიულოცავს და კლასელებთან ერთად ისწავლის, თუმცა კითხვა იცის. ჩვენი გაზეთი „გარეჯის მაცნე“ მისთვის ნაცნობი ყოფილა. ამ გაზეთში იმდენი მეგობარი ჰყავს ნანახი,თანაც სპორტსმენები... სექტემბრიდან თავის მწვრთნელთან მედეა ვეკუასთან და ტანვარჯიშის წრის გოგონებთან ერთად ხშირად იქნება გაზეთში. რატომ? ძალიან კარგად ვარჯიშობენ და ვარჯიშობის დახვეწისთვის მეცადინეობენ. ზაფხულში გასართობიც აქვს – ემილისა და დანიელას ვიდეოებსაც უყურებს. ჰო, მართლა, ბავშვებისთვის საყვარელი ემილი ორჯერ ნახა. ერთხელ ისთ-პოინტში, მივიდა და ჩაეხუტა და სულ ახლახანს – თბილისში, ბრიტანულ-ქართულ სასწავლებელში, სადაც ემილიც ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებში იღებდა მონაწილეობას. იქაც ეგრევე ჩაეხუტა ემილის.

უნდა ივარჯიშოს, ტანვარჯიშს გულიანად გაჰყვეს, უკვე ოცნებობს რამდენ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, რამდენ თანატოლს გაიცნობს.

წარმატებები ქეთი!

მომავალი აპრობაცი

ყველაფერს წარმოვიდგენდით ნენესგან, რომელიც სპორტსმენებს შორის იზრდება და თუ... ჩვენი გაზეთის მკითხველი იქნებოდა, ამას კი ვერა. არ იკითხავთ, რამდენი წლისაა?! ჯერ 5-ის, 5 აგვისტომდე. გახდება ექვსის და... მიიღებს წოდებას – საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის პირველკლასელი **ნენე მათიაშვილი.** პირველი მასწავლებელიც იცის – მარიანა შიოშვილი, ან ნაზი არჩუაძე.

მივა სკოლაში ნენე, გაიცნობს, დაუმეგობრდება თავის თანატოლებს, ჩაერთვება სკოლის „ორომტრიალში“ და რამდენ რამეს მოუყვება თავის კლასელებს, როგორ ისახელებს თავს. არ გჯერათ?! დავიწყოთ იქიდან, რომ კარგად იცნობს ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთს „გარეჯის მაცნეს“, როგორ ილოდება თვის 15 და 30 რიცხვში. დახედავს პირველ გვერდს, მოსწონს სიფერადე, მაგრამ არ ჩაუღრმავდება, გადაშლის, გადაშლის და შეჩერდება მე-7 გვერდზე, აუუუ... აქ იწყება ემოციები, ეს მისი მეგობარია, ფოტოდან ძიუდოისტი შემოჰყურებს,ეს მისი ძმაკაცია – ფოტოდან მწვრთნელი შემოჰღიმილებს. ყველას იცნობს სახელით, გვარით, სახეზეც... სპორტდარბაზის კუთხე-კუნჭულიც იცის, აი, არსენ მეკოკიშვილის სახელს რომ ატარებს, იმ სპორტული დარბაზის... კითხულობს სტატიის სათაურს, შემდეგ ტექსტს ჩაჰყვება და უხარია, უხარია, თუ გამოყოფილი შრიფტით წერია – მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი – ეს ნენეს მამაა, ლაშა მათიაშვილი – ეს მისი 24 წლის ძმაა, ძიუდოისტი, დედას რომ ეხვეწებოდა, ჯერ ძმა გამიჩინეო, და გაჩნდა მათე მათიაშვილი, მეოთხე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელი, მერე გოგოს გაჩენას სთხოვდა ეკას და როცა ნენე დაიბადა, ლაშა როგორ მზრუნველობდა, ყველამ იცის. ლაშა ადრე დაემშვიდობა ძიუდოს, არადა, კარგი შედეგები ჰქონდა, სულ კვარცხლბეკზე იდგა ამაყი და გამარჯვებული, მაგრამ მხარის ტრამვამ... უნივერსიტეტიც დაამთავრა, ბიზნეს-ადმინისტრატორია და ახლა ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძიუდოში, საზღვარგარეთ თავისი პროფესიის დასახვეწადაა წასული.

მათე კი ჯერ აქ ჰყავს გვერდით... თუმცა სულ ჭიდაობითაა დაინტერესებული, სულ პირველ ადგილზე ოცნებობს და საამისოდ კიდეც ვარჯიშობს. ყველა სახალხო დღესასწაულზე იღებს მონაწილეობას – ქართულ ჭიდაობაში. იცის მათემ, რომ ქართულ ჭიდაობაში უამრავი, ქართველისთვის გენეტიკურად თანდაყოლილი ილეთებია, რომლებსაც მერე ძიუდოში მაგრად იყენებს...

ნენეს დედა – ეკა ხებრელაშვილი საგარეჯოს სპორტგაერთიანების ბუღალტერიაში მუშაობს,ნენეს კი – სულ სპორტსმენების, სპორტის გარემოცვაში მყოფს, სახლში ჭიდაობა და „ბღლარძუნი“ მობეზრდა ოჯახის წევრებთან და გასულ წელს საგარეჯოში გაიხსნა თუ არა სპორტული ტანვარჯიშის წრე, იმ დღესვე ჩაეწერა. ჩაეწერა და მწვრთნელ ანა იაკობაშვილის ხელმძღვანელობით თანატოლებთან ერთად ვარჯიშობს, წარმატებული გამოსვლაც ჰქონდათ თელავში, 2023 წლის საგაზაფხულო შემაჯამებელ ღონისძიებაზე...

რომ ჰკითხოთ, მისთვის საინტერესო ხანა დამთავრდა, ახლა ახალი იწყება, დიახ, ახალი. სასკოლო მზაობის პერიოდიც საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაღში თანატოლებთან ერთად აღმზრდელის თინიკო მამისაშვილის ხელმძღვანელობით გაიარა, მეოთხე საჯარო სკოლასაც იცნობს, მუნიციპალიტეტის ახალი ამბები იცის გაზეთიდან, სპორტულ საკითხებში კარგად ერკვევა, კითხულობს ზღაპრებს, სწავლობს ლექსებს, ერთი „გაწა-მაწია“ აქვს, გული მაინც უფანცქალებს – სკოლისკენ მიმავალი გზა როგორი იქნება. მანამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი... თოჯინებს ეფერება, დაჰგურგურებს, ბებიებთან ერთად, ხან ერთთან, ხან მეორესთან საინტერესო ამბებზე საუბრობს, სიხარულით ხვდება საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ „თოჯინების ბებია ეკას“, თუ ბებოს დაუტოვა, საღამოს სამსახურიდან კამფეტებით დატვირთული მოდის „შვილებთან“...

ბედნიერი ზაფხული ნენე, შენც და შენს თანატოლებსაც, შენი რჩევით ჩვენს გაზეთში საინტერესო წერილებს გამოვაქვეყნებთ სპორტსმენებზე.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

დასასრული

სოფელ წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება



წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი **ნინელი მუჩიაშვილი**) შენობა 2012 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. შენობა პატარაა, მაგრამ შიგნით პატარა წყაროსთაველებს ყველა პირობას უქმნიან: მენეჯერი, *აღმზრდელ-პედაგოგი* – **ქეთევან ქავთარაძე**, *აღმზრდელის თანაშემწე* – **ია დათუნაშვილი**, *მედდა* **მედეა მეურმიშვილი**, *მუსიკის მასწავლებელი* **ხატია ივანიაშვილი**, *მზარეული* **ნინო დათუნაშვილი**, *ჭურჭლის მრეცხავი* **დარეჯან დათუნაშვილი**, რომ გარემო იყოს მშვიდი, საინტერესო, ცისარტყელას ფერებით გაკაშკაშებული, რომ კარგად გაერთონ, ისწავლონ, იმეცადინონ, ადვილად შეეგუონ საზოგადოებას. მიმდინარე სასწავლო წელს აქ 14 აღსაზრდელი ჰყავდათ, აქედან ოთხს გზა დაულოცეს სკოლისაკენ და კიდევაც ელოდებიან ახალ თაობას აღსაზრდელად. საბავშვო ბაღის ძველი შენობა, რომელიც ახლა დემონტაჟს ითხოვს და აქ სკვერის მოწყობას გეგმავენ, 50 წლის წინ საბავშვო ბაღის დღევანდელი მენეჯერის დაჟინებული და აქტიური მოქმედებით აშენდა. მაშინ ქ-ნი ნინელი წყაროსთავის 8-წლიანი სკოლის დირექტორიც იყო, აქ ბიოლოგიისა და შრომითი სწავლების საათები ჰქონდა. წყაროსთაველებისთვის პრობლემური იყო ბავშვის ნინოწმინდის საბავშვო ბაღში ტარება, ამიტომ მოინდომა ნინელიმ და სკოლის ეზოშივე მოხდა შენობის მშენებლობის დაწყება. გვერდში ოჯახი, სოფლელები, თავისი მოსწავლეები, სკოლის პედაგოგებიც ამოუდგნენ და გაიხარეს პატარა წყაროსთაველებმა – აქ საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებისთვის ერთი ჯგუფი გაიხსნა, სადაც წლების განმავლობაში გასამრჯელოს გარეშე თავად სკოლის დირექტორი იყო აღმზრდელ-მასწავლებელიც და ბაღის გამგეც.

ამჟამად მიმდინარეობს შენობის დემონტაჟისათვის მოსამზადებელი წინა დაგეგმარება. საუბარი იყო მოქმედი საბავშვო ბაღის შენობის მიშენების პროექტირებაზე, მაგრამ 2024 წელს აქ საბავშვო ბაღის ახალი შენობა აშენდება.

დასასრული

ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

აქ, ამ დაწესებულებაში (*მენეჯერი* **მანანა ასრათაშვილი**) ყველას უხარია მოსვლა, აქ ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვები გარე სამყაროს, საზოგადოებას ეცნობიან, ერთად არჩევენ ფერებს, ფიგურებს, შინაურ და გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს, სწავლობენ თვლას, სიმღერებს, ცეკვებს, წლის დროებსა და მშობლიური მიწისა და ცის სიყვარულს.

2022-2023 სასწავლო წელს აქ 73 აღსაზრდელი ოთხ ჯგუფში იყო დანაწილებული. *აღმზრდელ-პედაგოგები* **მაკა კევლიშვილი, ციალა სუხაშვილი, ციალა თურმანაული, მზიკო მელაშვილი,** *ლოგოპედი* – **რუსუდან შიოშვილი,** *ფსიქოლოგი* **მაია დარისპანაშვილი,** *მუსიკის პედაგოგი* **ნანა თოფალაშვილი,** *აღმზრდელის თანაშემწეები* **მარეხ ორკოშნელი, ლია როსტომაშვილი, მზია მაისურაძე, სირანა შიოშვილი,** *მედდა* **თეა გორგილაძე,** *მეთოდისტი* **ნათია იმედაშვილი,** *მზარეული* **შორენა მწითური,** *მზარეულის თანაშემწე* – **მაია ჩოკოშვილი,** *დამლაგებლები* **ეკა შიოშვილი, მაყვალა ივანიაშვილი,** *ჭურჭლის მრეცხავები* – **ნინო ლადაძიშვილი, მარიკა ჭიკაიძე,** *მეეზოვე* **ნათია ბერიძე** ბაღის მენეჯერთან ერთად ყოველ დილას ხალისით ხვდებიან საბავშვო ბაღის ეზოში შემოსულ პატარებს და ხალისიან, საინტერესო, შინაურ გარემოსაც უქმნიან. ამ კედლებში გაიზარდნენ და დაფრთიანდნენ სოფლის საამაყო შვილები – მომღერალი, „რანინას“ კონკურსის წარმატებული მონაწილე **ნინი ორკოშნელი,** ევროპის ჩემპიონი **გიორგი როსტომაშვილი,** ქორეოგრაფი **გიორგი ასრათაშვილი.**

აქაური პერსონალის, თავად მენეჯერისა და აღმზრდელების ხელით ულამაზესია ეზოც და საბავშვო ბაღის შენობის კედლებიც. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ეზოიან-შენობიანად მართლაც რომ ამშვენებს გარე კახეთის შესასვლელს.. თუმცა ახლაც მახსენდება, რა პირობებში უხდებოდათ აქაურ აღმზრდელ-პედაგოგებს და საერთოდ, პერსონალს მუშაობა ამ რამდენიმე წლის წინ, როცა პედაგოგს სკამიც არ ჰქონდა ჯგუფში, როცა მაგიდის მაგივრობას ძველი დროის, ფორმადაკარგული მაგიდა ასრულებდა, მაგრამ მაშინაც იქ, იმ დროს საოცარი სიყვარული, სითბო, მზრუნველობა და პასუხისმგებლობა იგრძნობოდა – თითოეული ცდილობდა ბაღისთვის ხელის შეშველებას, ეზოში ლამაზი დეკორაციებიც სოფლის აქტიური, სოფელზე გულშემატკივარი ადამიანების, საბავშვო ბაღის კოლექტივის ხელითაა აშენებული, შემდეგ კი უკვე რამდენიმე წლის წინ საბავშვო ბაღის შენობას სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებამ იერ-სახე მთლიანად შეუცვალა.

საბავშვო ბაღის მენეჯერი **მანანა ასრათაშვილი** 38 წელია ამ კედლებში პატარებზე ზრუნავს. მუშაობა ჯერ ცეკვის მასწავლებლად დაიწყო, შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგად, 12 წლის წინ კი უკვე საბავშვო ბაღის მენეჯერად მოევლინა მშობლიურ კოლექტივს. წელს საბავშვო ბაღის გამოსაშვები ბაღის პედაგოგმა საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომლებთან ერთად 13 აღსაზრდელს დაულოცა გზა სკოლისკენ და მათ მაგიერ, ბაგის ასაკის ჯგუფში 10 აღსაზრდელი ინტერესით შეუდგება მაკა მასწავლებელთან ერთად გარესამყაროს გაცნობას.

მანამდე კი, მანამდე, საბავშვო ბაღის თანამშრომლები ჯერ კიდევ არდადეგების დაწყებამდე შეუდგნენ ეზოს გალამაზებას. აქ ზღაპრების უამრავი გმირი დაიდებს ბინას და კეთილი ღიმილით დახვდება საბავშვო ბაღში მოსულ ნინოწმინდელ პატარებს.

გამოსათხოვარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების გუნდს უაღრესად კეთილშობილი, მადალი პასუხისმგებლობის მქონე, სოფლისათვის საყვარელი პიროვნება, კოჭბანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუსიკის პედაგოგი **დონარა დემეტრაშვილი** გამოაკლდა.

ქ-ნი დონარა თავისი ქველმოქმედებით სიყვარულსა და სიკეთეს თესდა თანასოფლელებში, რითაც ყველასგან გამოირჩეოდა. ამიტომაც უყვარდა ყველას, ამიტომაცაა თითოეული თანასოფლელისათვის და ჩვენი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თითოეული თანამშრომლისათვის მტკივნეული მისი ამქვეყნიდან წასვლა. ნათელი მის სულს, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური